

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

**"ვეფხისტყაოსნის" ყალბი ადგილები
ალექსანდრე სარაჯიშვილის მიხედვით**

ლანა ჩიხლაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
Lanachikhladze87@gmail.com

სტატიაში განხილულია ალექსანდრე სარაჯიშვილის მონოგრაფიული ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები“. აღნიშნული გამოკვლევა პერიოდულად იბეჭდებოდა ჟურნალ „მომხმეში“ 1895-1901 წლებში. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გაწმენდა შემდეგი დროის გადამწერთა, ყალბისმქნელთა ჩანამატებისაგან და მისი დედანთან მიახლოებული ტექსტის აღდგენა იყო მკვლევრის ძირითადი ნაშრომის მიზანი. ალ. სარაჯიშვილმა ჩამოაყალიბა პრინციპები, თუ რა გზით და ხერხით შეიძლება ამ ყალბი ადგილების ამოცნობა. სტატიაში, კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, ნაჩვენებია თუ როგორ ცდილობს მკვლევარი გამოავლინოს პოემის ჩანართი ადგილები და რამდენად გაიზიარეს მისი შეხედულებები მისმა თანამედროვე და მომდევნო ხანის რუსთველოლოგებმა თავიანთ გამოკვლევებსა და პოემის სხვადასხვა გამოცემებში.

საკვანძო სიტყვები: „ვეფხისტყაოსანი“, ყალბი ადგილები, კვლევა, რუსთველის სტილი, ენა, შინაარსობრივი მხარე.

ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევართა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს ალექსანდრე სარაჯიშვილს. ის, უპირველეს ყოვლისა, რუსთველოლოგიის სახელით იხსენიება. მან „ვეფხისტყაოსნისა“ და მის ავტორს უძღვნა ორი მონოგრაფია: „ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები“ და „არტანუჯის ვარიანტი „ვეფხისტყაოსნისა“; ასევე, საგაზეთო სტატია „გინდ „სამი ალი“ და გინდ „სამალი“. გამოუქვეყნებელი შრომებიდან აღსანიშნავია „ვეფხისტყაოსნის“ პწკარედი თარგმანი, რომელსაც სქოლიოში ახლავს მთარგმნელის განმარტებები.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გაწმენდა შემდეგი დროის გადამწერთა, ყალბისმქნელთა ჩანამატებისაგან და მისი დედანთან მიახლოებული ტექსტის აღდგენა იყო მკვლევრის ძირითადი შრომის-„ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები“- მიზანი. იგი ნაშრომის შესავალში გამოთქვამს თავის შეხედულებებს, თუ რა პირობებში და რა მიზეზით მოხდა ტექსტის ყალბისმქნელის მიერ ჩანართი ადგილების დამატება.

იონა მეუნარგიას ხელმძღვანელობით შემდგარი „ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისია“ პოემის ტექსტის აღსადგენად და შესასწორებლად

შეიქმნა. ალ.სარაჯიშვილი აღნიშნავს, რომ „მათ შეძლეს ტექსტის სხვადასხვა ვარიანტის ერთმანეთთან შედარების შემდეგ, რამოდენიმე ზნელი აზრის გამოკვეთა: „ძველებური მართლწერის შესაძლებლობისამებრ აღადგინა და ზოგიერთი ხანის, რომელიც ძველ ვარიანტებში არ იყო და აზრის მიმდინარეობას უშლიდა ხელს, ტექსტისათვის გამოეკლო“ (სარაჯიშვილი 1895: 3). იგი კომისიის მუშაობას დადებითად აფასებს და თვლის, რომ „წმინდა ტაძრის გასუფთავება“ შეძლეს და მოგვცეს „ვეფხისტყაოსნის“ დაწმენდილი და ნათელი ტექსტი (სარაჯიშვილი 1895: 3). მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ კომისიის წარმომადგენლები შეეცადნენ ტექსტი ყალბი ადგილებისაგან გაეწმინდათ, მაინც შერჩა რამოდენიმე სტროფი. მისი უმთავრესი მიზანი სწორედ ის გახლავთ, რომ სურს ეს სტროფები გამოავლინოს და დაამტკიცოს, თუ რატომაა ყალბი. ჩამოაყალიბოს მიზეზები, როგორ მივიდა ამ დასკვნამდე. ცდილობს მათი სიყალბის დასამტკიცებლად მკითხველს საბუთიც წარუდგინოს“ (ბარამიძე 1986: 127).

მკვლევარმა ჩამოაყალიბა გეგმა იმისა, თუ როგორ შეიძლება გამოვლინდეს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან ყალბი ადგილები. უპირველესად „თვით პოეტის ენა უნდა გვეჩვენოს შეთვისებული: მისი აზრი და არსება შედგენილი, მისი ენა და სტილი შესწავლილი: “ჩავიკითხოთ რიგზე თითო ხანა და პირუთვნელად და წინდახედვით შევადაროთ ჩვენ გულში ჩაბეჭდილი რუსთაველის აზრსა და გამოთქმას და ვსცნათ, ეთანხმება თუ არა წაკითხული ხანა პოეტის იდეას, უშლის თუ არა მისი აზრის მიმდინარეობას და ჰგავს თუ არა მის კილოსა?

მეორე იმითაც, რომ ყალბისმქნელი ნაკლებ ნიჭიერია, ვიდრე პოეტი, რომელსაც ჰბაძავს. ყალბისმქნელი ნიჭიერებით პოეტის ტოლი, რომ ყოფილიყო ბარემ თვითონ დასწერდა თავის თხზულებასა ქურდულად სხვისი სახელით არ შემოგვეპარებოდა“ (სარაჯიშვილი 1895: 5).

მისი შინაარსი იშვიათად შეიცავს მაღალ აზრს, დიდებულს პოეტურ სურათს, უფრო ხშირად რომელსაზე მცირე საგანს გამოეკიდება ხოლმე. „მცირე ჭკუას მცირე საგანი გააკვირვებს და, რადგან ყალბის მქნელი მოლექსე დიდის ჭკუის პატრონი ვერ არის, „დიდთა ვერ მოჰკლავს ხელად აქვს ხოცვა ნადირთა მცირეთა“. მკვლევრის აზრით, „თავისის სტილით აპოკრიფი უფრო ადვილად გაირჩევა რუსთაველის ნაწერისაგან. რუსთაველის სტილი ბროლსავით მჭიდრო და ნათელია; მისი მოთხრობა ანკარა წყაროსავით მორბის, არსად არ სდგება და არა ჰგუბდება“... “მჭიდროება და სინათლე-აი რუსთაველის სტილის კანონი” (სარაჯიშვილი 1895:6).

ამდენად, მკვლევარი „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი ადგილების დადგენის დროს ყურადღებას აქცევს: პოეტის ენას, შინაარსობრივ მხარეს; ტექსტის მჭიდროებასა და სინათლეს.

ჩვენ შევეცდებით, აღნიშნულ სტატიაში რამოდენიმე მაგალითის საფუძველზე წარმოგიდგინოთ როგორ და რა მეთოდებით ცდილობდა ალექსანდრე სარაჯიშვილი დაედგინა „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი ადგილები.

ალ. სარაჯიშვილმა თავისი მიზნის მისაღწევად შეუდგა პოემის ცალკეული თავების კვლევას. უპირველესად შეეხო „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგს. მისი აზრით, პროლოგი შოთა რუსთველს ეკუთვნის. გრამატიკული და სინტაქსური ფორმები ეთანხმება პოემის ტექსტში გამოყენებულ ფორმებს. პოეტური შეთანხმება და აზრი ეთანხმება რუსთველისას, მათ შორის არის სხვაობა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პროლოგი სხვის კალამს ეკუთვნოდეს. მკვლევარი სხვაობას პროლოგისა და პოემის ენას შორის ხედავს მხოლოდ იმაში, რომ სამეტაფიზიკო მოსაზრების ენა და მოთხრობის ენა ვერ დაემსგავსება ერთმანეთს“ (სარაჯიშვილი 1895:7).

„ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობა ერთის პოეტის თხზულებად მიაჩნია და არა მრავალ მწერალთა აზრების კრებულად. მას ატყვია ერთობა, პლანი და აზრის ლოგიკური მიმდინარეობა. (სარაჯიშვილი 1895:8) მისი აზრით, „ერთობა დარღვეულია ყალბისმქნელთა უმეცრებით. პლანი შემოიღო ზოგიერთი ხანის უადგილობრით და აზრის მიმდინარეობა ამღვრეულია და დაზნეული გადამწერების უმეცრებით, მაგრამ ამ არეულობაში პოეტის აზრი მაინც გამოსჭვივის“ (სარაჯიშვილი 1895: 8).

მკვლევარი პროლოგიდან ყალბად მიიჩნევს შემდეგ სტროფებს: 5, 9, 10, 14, 18, 21, 22, 26, 27, 28, 29, 30, 31. ამის გარდა, საეჭვოდ მიაჩნია სხვა სტროფებიც.

მეხუთე სტროფის შესახებ პოეტი წერს, „მიზრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა“. აქ ნახსენები „ბრძანება“ არ მიაჩნია სწორად, რადგან თამარ მეფე როგორ უბრძანებდა ვინმეს შეაქეთ ჩემი სახე, კბილებიო, რადგან ისტორიკოსთა ცნობით, ის ხომ ძალიან მორცხვი პიროვნება იყო. ლექსის თქმა და ქება ნებაყოფლობითია (სარაჯიშვილი 1895: 10).

რუსთველის შესახებ აღორძინების ხანის მეფე პოეტებს გამოთქმული აქვთ საინტერესო შეხედულებები. არჩილის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, პოეტი თეიმურაზს ბრალდებად ათქმევინებს, რომ რუსთველმა სხვისი დავალებით დაწერა, ხოლო მე თავისუფალი ვარ და ჩემი ვთქვიო:

“ჩემოდნად შენ ვინ ჩაგაგდებს, რაც სთქვი იძულებითა,

თამარ მეფემან გიბრძანა. ძალი გიყო თუ ნებითა.

მე ჩემი ნებით გამოვსთქვი, სხვის ვისით მეთქვა თნებითა?

შენ არ გასტყდები მე გჯობდე, თვარ შემოგფიცავ ყმებითა“ (არჩილი: 11).

როგორც ჩანს, დავალება „ბრძანება“ უარყოფითად მიაჩნდათ აღორძინების ხანაში.

„ბრძანებით“ ნაწარმოების შექმნა იყო გავრცელებული, მაგ., ნიზამის პოემები, შაჰნამე და სხვა. ეს არ არის ნაკლი. სამეფო კარზე მოღვაწე

პოეტებისადმი დავალებას მეხოტბეებიც იზიარებენ და ისინიც მსგავსად წერენ. ამდენად, „მიბრძანეს“ სიტყვა ამ კონტექსტით სულაც არ აყენებს ჩრდილს რუსთველს და ამ სტროფის სიყალბეზეც არ მიუთითებს.

მე-5 სტროფის სტილს სუსტად მიიჩნევს. მშრალი და დაწვრილებით ჩამოთვლა პირისახის ნაწილებისა თავს აბეზრებს კაცს და „მსმენელისა ყურიც დავალდებთან“. ასევე „გასტეხს ქვასაცა მაგარსა, გრდემლი ტყვიისა ლბილისა“, რომელიც ვითომ თამარ მეფის ბრძანებას და ზოგის თქმით, თამარის ძლიერებას უნდა ნიშნავდეს. ამას მეტად უშნო და მოუხერხებელ სურათად მიიჩნევს მკვლევარი. „გრდემლი ტყვიისა ლბილისა“ არავის უნახავს, გიჟის გარდა საგანგებოდ არავის ჩამოუდნობია, ასევე ქვის გასატეხად გრდემლი არ იხმარება, ამიტომ პოეტურ შედარებად ამ სტროფს მოსწრებულად ვერ თვლის“. თუ ტყვიის გრდემლი თამარ მეფის ბრძანებაა ან მისი მშვენიერება, მაშ ქვა პოეტის გულად უნდა ვიგულისხმო... და რომელი პოეტი დაიჩემებს გულ-ქვაობასა!?“ (სარაჯიშვილი 1895: 11).

არაერთმა მკვლევარმა განიხილა საკვლევი სტროფი, თუმცა აღსანიშნავია ლელა ჩოგოვადის სტატია „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ტაეპის მართებულად გააზრებისათვის“, სადაც აღნიშნავს, რომ „უმაგრესი ქვა საერთოდ და ვეფხისტყაოსანში არის აღმასი. მაშასადამე, „გასტეხს ქვასაცა მაგარსა...“ იგივეა, რაც აღმასის გატეხა. ძველი არაბული წყაროები არკვევენ იმას, თუ როგორ ამუშავებდნენ შუა საუკუნეებში აღმასს. მაგალითად, არაბი ტეიფაში(მე-13 ს.) აღწერს აღმასის დამუშავების წესს და ამბობს, რომ აღმასს ტყვიის მაგიდაზე გათლიან, ტეხენ, ამუშავებენ. ირკვევა ისიც, რომ ტყვიის მაგიდა იგივეა, რაც ტყვიის გრდემლი („ქართული ბიბლიის“ ცნობები). აქედან გადატანით: როგორც უმაგრესი ქვა (აღმასი) ულბილესი ტყვიის გრდემლით გაითლება, ასევე თამარის შვენებით (ჰაეროვნებით) გატყდება მტკიცე გული პოეტისა“ (ჩოგოვაძე 2008, 380). საბოლოოდ ასკვნის, რომ „გრდემლი ტყვიისა ლბილისა“ მეტაფორულია და შესაბამისად, რუსთველისეულად უდა ჩავთვალოთ.

კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვანოთ იმის საილუსტრაციოდ თუ, როგორ ცდილობს ალ.სარაჯიშვილი პოემის ინტერპოლაციის გამოვლენას. მკვლევარი ყურადღებას აქცევს იმ სტროფებს, სადაც ტარიელი უამბობს ავთანდილის თავის ამბავს. ამ თხრობისას ყალბისმქნელის შეთხზულად მიიჩნევს 317-ე და 318-ე სტროფებს:

316. მეფემან და დედოფალმან მიმიყვანეს შვილად მათად,
„საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად,
„ბრძენთა მიმცეს სასწავლებლად ხელმწიფეთა ქცევა-ქმნათად;
„მოვიწიფე, დავემზგავსე მზესა თვალად, ღომსა ნაკვთად.
317. „ასმათ, მითხრობდი, რაცა სცნა ჩემგან ამბობა ცილისა:
ხუთისა წლისა შევიქმენ, მზგავსი ვარდისა შლილისა,

ჭირად არ მიჩნდის ლომისა მოკვლა, მართ ვითა სირისა;

არა ჰგაოდის ფარსადანს მისი არა სმა შვილისა.

318. „ასმათ შენცა ხარ მოწამე ჩემისა ფერ-მიხდილისა,-

„მზესა მე ვჯობდი შვენებით, ვით ბინდსა ჟამი დილისა;

„იტყოდის ჩემნი მნახავნი: „მზგავსია ედემს ზრდილისა“,

„აწ მაშინდლისა ჩემისა სახე ვარ ოდენ ჩრდილის“ (სარაჯიშვილი 1896:11).

აღ. სარაჯიშვილის გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ სრულიად ქვეყნის საპატრონოდ გაზრდილი ტარიელი ავთანდილის წინაშე თავისი ნათქვამის დასამოწმებლად თავისი მონის სიტყვებს იმოწმებს. თუ ასმათმა დაადასტურა ტარიელის ნათქვამი, მაშინ ავთანდილი ეჭვს არ შეიტანს. თუმცა საინტერესო ისაა, თუ რის დასამოწმებლად სჭირდება ტარიელს ასმათი. თურმე იმისა, რომ ტარიელი „ხუთისა წლისა შეიქმნა მზგავსი ვარდისა შლილისა“ და „ჭირად არ უჩნდა ლომისა მოკლა, მართ ვითა სირისა“. ვარდის მსგავსება უმოწოდებლად დასაჯერებელია, მაგრამ ზედმეტად მიაჩნია, რადგან ტარიელმა 316-ე სტროფში უკვე თქვა „დავემზგავსე მზესა თვალად“. ხოლო ხუთი წლის ბავშვის მიერ ლომის ჩიტსავით მოკვლას მკვლევარი უშვერ სიცრუვედ თვლის და ასმათის დამოწმებაც კი არ კმარა სათქმელის დასაჯერებლად. მითუმეტეს რამოდენიმე სტროფის შემდეგ (325-ე სტროფი) ტარიელი გვიამბობს, რომ იგი „ვითა კატასა ჰბოცდა ლომსა“, მხოლოდ ხუთის წლის კი არა, არამედ როდესაც „შეეძლო მისვლა ომსა“ (სარაჯიშვილი 1896:1) .

აღ. სარაჯიშვილი თვლის, რომ ტარიელმა ასმათი 318-ე სტროფში თავისი სიტყვების მოწმედ მოიყვანა: „დავემზგავსე მზესა თვალად“ და ამით „თავი დაიმდაბლა“. „მზესა მე ვჯობდი შვენებით, ვით ბინდსა ჟამი დილისა!“ სამეფოდ გამზადებულ ტარიელს არ შეშვენის მუდამ თავისი სილამაზისა და სიძლიერის ხაზგასმა. ავთანდილი ტარიელის შემხედვარე ადვილად მიხვდებოდა, რომ ბავშვობისას იგი ამისთანა ძალისა და შვენების მქონე იქნებოდა. სიტყვის ფასის მცოდნე რუსთველი წარამარა არ ათქმევინებდა ტარიელს თავისი სილამაზეულობის სიტყვას. როცა მორჩებოდა გაზრდაზე მაშინ ყოფნიდა მართლ ეთქვა „მოვიწიფე, დავემზგავსე მზესა თვალად, ლომსა ნაკვთად“ (სარაჯიშვილი 1896:11).

316-ე სტროფში ტარიელი გვიამბობს თავისი სწავლაზე, აღზრდაზე და ბოლოს ამბობს: „მოვიწიფე, დავემზგავსე...“ სწორედ ეს სიტყვა „მოვიწიფე“ ესმით ყალბისმქნელებს არასწორად. ინდოეთში და სხვა თბილ ქვეყნებში ქალი ათი-თორმეტი წლის ხდება მოწიფული, ხოლო ბიჭები თოთხმეტი-თუთხმეტისა. ამ შემთხვევაში სრულად ეთანხმება ეს ფრაზა 325-ე სტროფს, სადაც ტარიელი ამბობს: „იგი ასრე მოიწიფა, მე შემეძლო შესვლა ომსა; მამასავე ხელთა მიმცეს, რა შევიქმენ ამა ზომსა“. სავარაუდოდ ეს მოხდა მაშინ, როცა ნესტან-დარეჯანი იყო რვა-ცხრა წლისა და ტარიელი ცამეტ-თოთხმეტისა.

აქედან ჩანს, რომ ტარიელის სიტყვა „მოვიწიფე“ საზოგადოდ არის ნათქვამი, როგორც დასკვნა მისი აღზრდისა და სწავლის.

ამ შინაარსით არ ესმით 317-ე და 318-ე სტროფების გადამწერებს სიტყვა „მოვიწიფე“ და გადაწყვიტეს, რომ ტარიელი მეხუთე წელს მოიწიფა და წარმოდგინეს ხუთი წლის ბავშვი ვაჟკაცად და სრულწლოვნად: „ხუთისა წლისა შევიქმენ, მზგავსი ვარდისა შლილისა, ჭირად არ მიჩნდის ლომისა მოკვლა მართ ვითა სირისა“; „იტყოდეს ჩემნი მნახავნი: „მზგავსია ედემს ზრდილისა“... ასეთი გამოსახვა ტარიელისა ეწინააღმდეგება კაცის ბუნებას და გმირის შემდეგ თხრობას.

316-ე სტროფს თვლის მკვლევარი რუსთველისეულად: „ცოტა სიტყვით ბევრის გამოთქმა. - მარტო ამ ერთი ხანიდან ვეცნობით ტარიელისა და მეფე დედოფლის ურთიერთობას, მის აღზრდას, სწავლას და მის შეხედულებას. ჩვენს წინ დგას ცხოვლად ნათქვამი სეფისწულისა, მოყმე მეფე-დედოფლისაგან შვილად შეყვარებული, სრულთა ლაშქართა და ქვეყანათა საპატრონოდ აღზრდილი, ბრძენთაგან ხელმწიფეთა ქცევას ნასწავლი, მზესავით შვენიერი და ღომსავით ღონიერი“ (სარაჯიშვილი 1896:11).

1960-იან წლებში შექმნილმა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ, რომლის წევრები იყვნენ: ა. ბარამიძე, ი.გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, შ. ძიმიგური, განიხილა აღნიშნული სტროფი და პოემის ძირითად ტექსტში შეიტანა. თუმცა რედაქციის წევრებიდან გ. კარტოზია და ც. კიკვიძე არ მიიჩნევდნენ ამ სტროფს რუსთველისეულად (კარტოზია 2011: 97).

ალექსანდრე სარაჯიშვილის მოსაზრებას იზიარებს გიორგი არაბული და წერს, რომ „აზრობრივი შეუფერებლობა ნაწარმოების საერთო შინაარსთან საკმაო საბუთია ამ სტროფის ჩანართად მისაჩვენად. მაგრამ ზოგიერთს, როგორც ჩანს, ძალიან ხიბლავდა ლომების მზოცველი ხუთი წლის გმირის არსებობა ქართულ ლიტერატურაში“ (არაბული 1983: 33). ამდენად, გიორგი არაბული 317 სტროფს ჩანართად მიიჩნევს.

ასე ცდილობს ალ. სარაჯიშვილი „ვეფხისტყაოსანში“ ყალბი ადგილების გამოვლენას. მაგალითები არასრულადაა მოყვანილი, მაგრამ მკვლევარს ყალბი ადგილების გამოვლენის პრინციპი ერთი აქვს. ის მიჰყვებოდა იმ გეგმას, რომელიც შეიმუშავა „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტში ყალბი ადგილების დასადგენად: პირველი ეს იყო მხატვრულ-შინაარსობრივი მხარე, მეორე - პოეტური ღირსება.

მთელი კვლევის მსვლელობისას იცავდა თავის გეგმას და ყალბისმქნელის ჩამატებული მრავალი ადგილი აღმოაჩინა. ალ. სარაჯიშვილმა ყალბად აღიარა პოემის 150 სტროფი. აქედან 3 პროლოგისა და 4 ეპილოგისა.

ალ. სარაჯიშვილის მეთოდი ცალმხრივი აღმოჩნდა, რადგან, როდესაც მან

ლ. ჩიხლაძე

დაიწყო პოემის კვლევა ყველა ხელნაწერი ჯერ კიდევ არ იყო გამოვლენილი, რაც, შესაბამისად შეუსწავლელი და დაუმუშავებელი აღმოჩნდა. ასევე, არ იყო შესწავლილი კლასიკური პერიოდის ენა, სტილი და პოეტიკა. მიუხედავად ამისა, მისმა კვლევამ ღრმა კვალი დააჩნია რუსთველოლოგიას.

ლიტერატურა

არაბული ალ. 1983. ნარკვევები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესახებ. თბილისი: „მეცნიერება“.

არჩილი: არჩილ მეფე. გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა. მოძიებულია 11.11.2020. <http://www.nplg.gov.ge/ebooks/authors/archili/poema/gabaaseba%20teimurazisa%20da%20rustvelisa.pdf>

ბარამიძე ალ. 1986. მენაბდე ლ. (რედაქტორი). ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარნი. თბილისი: უნივერსიტეტის გამომც.

კარტოზია გ. 2011. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომათა ოქმები. წიგნი I (1973-1973). თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა.

სარაჯიშვილი ალ. 1895. ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები, ჟურნ. „მოამბე“ №XI, 1895.

სარაჯიშვილი ალ. 1896. ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები, ჟურნ. „მოამბე“ №III, 1896.

ჩოგოვაძე ლ. 2008. „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ტაეპის მართებულად გააზრებისათვის, „ქართველური მემკვიდრეობა“, ქუთაისი, XII, 2008.

Literature and Literary Theory

Fake Places of The Knight in the Panther's Skin According to Alexander Sarajishvili

Lana Chikhladze

Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
Lanachikhladze87@gmail.com

The article discusses Alexander Sarajishvili's monograph "Fake Places of The Knight in the Panther's Skin". The study was periodically published in the journal "Moambe" from 1895 to 1901. The aim of the researcher's main work was to clear the text of "The Knight in the Panther's Skin" from the scribes, forgers, and to restore the text close to its original. Al. Sarajishvili established the principles of how and by what means these fake places can be identified. The article, based

on specific examples, shows how the researcher tries to identify the places where the poem is inserted and how much his views were shared by his contemporary and later Rustvelologists in their research and various editions of the poem.

Keywords: *The Knight in the Panther's Skin, fake places, research, Rustaveli style, language, content.*

Alexander Sarajishvili occupies a prominent place among the scholars of ancient Georgian literature. He is first and foremost referred to as a Rustvelologist. Sarajishvili dedicated two monographs to "The Knight in the Panther's Skin" and its author: "The Fake Places of The Knight in the Panther's Skin" and "Artanuji's Version of The Knight in the Panther's Skin"; Also the newspaper article. Among the unpublished works is a small translation of The Knight in the Panther's Skin, accompanied by the translator's explanations in the footnote.

The purpose of the researcher's main work - "Fake Places of The Knight in the Panther's Skin" - was to clear the text from later copyists, forger inserts and to restore the text close to its original. In the introduction to the paper, he expresses his views on the conditions under which and for what reason the insertions were made by the forger of the text.

The researcher notes that "The Knight in the Panther's Skin Detection Commission" headed by Iona Meunargia was set up to restore and correct the text of the poem. "After comparing different versions of the text, they were able to identify some dark thoughts (Sarajishvili Al. Fake Places of The Knight in the Panther's Skin, Journal. Moambe №XI, 1895: 3). He positively assesses the work of the commission and believes that they were able to "cleanse the Holy Temple" and gave us a clear text of "The Knight in the Panther's Skin" (Sarajishvili Al. Fake Places of The Knight in the Panther's Skin, Journal. Moambe №XI, 1895: 3). However, some fake stanzas were still selected. His main goal is to reveal these verses and prove why they are fake. To formulate the reasons for how he came to this conclusion. He tries to present a document to the reader to prove their falsity" (Baramidze Al. Menabde L. (Editor), "Researcher of Old Georgian Literature". Tbilisi: University Press. 1986: 127).

The researcher pays attention to: the language of the poet, the content side; The density and lightness of the text.

To achieve his goal, Al.Sarajishvili began to study separate chapters of the poem. He attributes the prologue of " The Knight in the Panther's Skin " to Shota, but considers the following stanzas to be false: 5, 9, 10, 14, 18, 21, 22, 26, 27, 28, 29, 30, 31. In addition, he considers other stanzas suspicious.

In the fifth stanza, "They bade me to write sweet poetry- to sing her Kingly praises," he does not attribute the "commandment" to Shota, Queen Tamar could not

command anyone to praise her face and her teeth. According to historians, she was a very shy person. Poetry recitation and praise are voluntary (Sarajishvili 1895: 10).

The King poets of the Renaissance have expressed interesting views about Rustaveli. In Archil's poem *The Dialogue Between Teimuraz and Rustaveli*, The poet forces Teimuraz to say that Rustaveli wrote on someone else's instructions, and I can freely say mine. It seems that the assignment "command" was considered negative during the revival period. Creating works by "order" was common, for example, poems by Nizam, *Shahnameh* and others.

Al. Sarajishvili considers the style of the 5th stanza weak. Dry and detailed listing of facial parts makes a man feel tired. The researcher also considers this line to be a very ugly and awkward picture, "a leaden anvil can break the hardest stone." No one has seen "a leaden anvil" and the anvil is not used to break the stone. Scholars of the following period consider this line as a metaphor and attribute it to Rustaveli.

Also interesting is the scene in which Tariel describes his childhood to Avtandil. Tariel says he could kill lions at the age of five. This stanza is considered by the researcher as an insert because the age of maturity is considered to be 14-15 years and not five. Then Tariel later mentions that at the age of fifteen he could go to war. This goes against the logic, if at the age of five he killed lions like cats, then why was he able to go to war at the age of fifteen. The text also shows Tariel bragging and asking Asmat to confirm what he said. This is also considered unacceptable by the researcher. In many editions of *The Knight in the Panther's Skin*, this stanza is considered an insert and is removed from the main text of the poem. Giorgi Arabuli also considers the mentioned stanza as an insert.

That is how Al. Sarajishvili tries to reveal fake places in *The Knight in the Panther's Skin*. The examples are incomplete, but the researcher has one principle of detecting fake places. He followed the plan he had devised to identify fake places in the text of *The Knight in the Panther's Skin*: the first was the artistic-content side, the second the poetic dignity.

Throughout the research he defended his plan and found many places added by the forger. Al. Sarajishvili falsely admitted 150 stanzas of the poem. Of these, 3 prologues and 4 epilogues.

Al. Sarajishvili's method turned out to be one-sided, because when he started researching the poem, not all the manuscripts had been identified, which was therefore unexplored and unprocessed. The language, style, and poetics of the classical period were also not studied. Nevertheless, his research has left a deep imprint on Rustvelology.